

განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე  
“პატიმრობის შესახებ” საქართველოს კანონში დამატებების შეტანის”

საქართველოს პრეზიდენტის მიერ 2004 წლის 29 დეკემბერს დამტკიცებული ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2005-2006 წლების სამოქმედო გეგმა ერთ-ერთი პირველი რიგის ღონისძიებად მიიჩნევს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის თაობაზე არსებული სამართლებრივი ბაზის სრულყოფას, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა სამართლებრივი დაცვის და მხარდაჭერის სისტემის შემუშავებას და ამოქმედებას.

მიუხედავად იმისა, რომ სსკ 143<sup>1</sup> და 143<sup>2</sup> მუხლები ითვალისწინებს შესაბამისად ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და არასრულწლოვნით ვაჭრობისთვის (ტრეფიკინგისათვის) პასუხისმგებლობას, ცალკეულ შემთხვევაში აღნიშნული მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებზე დაზარალებული პირები შეიძლება იმავდროულად აღმოჩნდნენ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ სხვა დანაშაულებში ბრალდებულები, რის გამოც მათ მიმართ შესაძლებელია საჭირო გახდეს აღკვეთის ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობის ან სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენება. ვინაიდან ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაული დაკავშირებულია მნიშვნელოვან თავისებურებასთან, მათ შორის დაზარალებულისათვის მძიმე ფსიქიკური და მორალური ტრავმის მიყენებასთან, კანონპროექტი ითვალისწინებს პენიტენციურ დაწესებულებებში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა სხვა პირთაგან განცალკევებით მოთავსებას.

კანონპროექტით შემოთავაზებული ცვლილებები შეესაბამება საერთაშორისო დოკუმენტების მოთხოვნებს.

წარმოდგენილი კანონპროექტი შემუშავებულია “ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2005-2006 წლების სამოქმედო გეგმის” მე-5 პუნქტის მოთხოვნის შესაბამისად, რომელიც ადგენს ტრეფიკინგის მსხვერპლთა და მოწმეებისათვის სამართლებრივი დახმარებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმების შემუშავების და დანერგვის აუცილებლობას.

წარმოდგენილი კანონპროექტის მიღება დაკავშირებული არ არის დამატებით საბიუჯეტო დანახარჯებთან.

კანონპროექტის ინიციატორია პარლამენტის წევრი ლალი ფაფიაშვილი